საგადახდო დავალება
Payment Order

1665488087

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 11/10/2022

გადამხდელი / Sender

შპს დიღომი 2021, 405463724

რეფერენსი / Ref. Num.

8034828697

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE62TB7989036050100002

თანხა / Amount

15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს დიღომი 2021, 405463724*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 405463724

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date
11/10/2022

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 001245 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, 07.10.2022 შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში

ბ.ა.

დასტამპულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

№ 4-21ე 1496-22
"07" 10 2022 წ.

დადგენილება №001245
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.10.2022წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ზურაბ მამსიკაშვილმა, განვიხილე, 2022 წლის 7 ოქტომბრის №001245 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, **შ.პ.ს „ნიუ სითი"-ს** (ს/ნ №404516582 მის: ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის №46, I სადარბაზო ფართი №7) **და შ.პ.ს „დიღომი 2021"-ს** (ს/ნ №405463724; მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, №46 დამხმარე ფართი №7 (მშენებარე) სადარბაზო 1, ნიშნული – 4,00) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, №46, №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შ.პ.ს „ნიუ სითი"-ს და შ.პ.ს „დიღომი 2021"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 დეკემბრის №3737133 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: **I ბლოკი. ფასადებზე** ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების და ფანჯრების რაოდენობა, გაბარიტი და ნახატი. შეცვლილია კედლების ღებვის ფერი და გაუქმებულია დეკორატიული ლესვა. დამატებით მოწყობილია კონდიციონერები, გამწოვი მილები და წყალშემკრები მილები. აივნებზე შეცვლილია მოაჯირების ნახატი. დამატებით მოწყობილია სარეცხის გასაშრობი ლითონის კონსტრუქცია. **შენობაში** ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების განივი კვეთი. კაპიტალურის ნაცვლად ნაწილობრივ მოწყობილია მონოლითური კედლები. შეცვლილია ბინების რაოდენობა. -4.00 ნიშნულზე „9-10" მონაკვეთში გაუქმებულია ერთი ლიფტი. შემცირებულია ლიფტების კარების სიგანე და კაბინების გაბარიტი. „7-13" მონაკვეთში სადარბაზოებში ნაწილობრივ გაუქმებულია კარი. დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტები. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დონე. „1-13" **ფასადზე**: „12-12"

ღერძთან აივნებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი, რის გამოც ერთი დიდის ნაცვლად მოწყობილია ორი აივანი. +0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კიბე. „7-13" მონაკვეთში +4.20 ნიშნულზე აივნების ქვემოთ დამატებით მოწყობილია რიგელები. „7-8" მონაკვეთში +36.20 ნიშნულზე აივანზე დამატებით მოწყობილია გისოსები. „13-1" **ფასადზე:** „13-12" მონაკვეთში დმატებით მოწყობილია სამანქანო პანდუსი, ღიობი და მონილითური კედლები, ხოლო „10-8" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საფეხმავლო პანდუსი. „10-9" მონაკვეთში სადარბაზოს ღიობებში დამატებით მოწყობილია გისოსები და შეცვლილია მათი გაბარიტი. „12-11" მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია კედლები ფანჯრებით, რის გამოც საზაფხულო ფართის ნაცვლად მოწყობილია საცხოვრებელი ფართი. +0.00 ნიშნულზე „13-6" მონაკვეთში ვიტრაჟები ერთის ნაცვლად გაყოფილია ორ ვიტრაჟად. +4.20 ნიშნულზე აივნების ქვემოთ დამატებით მოწყობილია რიგელები. +33.00 ნიშნულზე „13-11" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გისოსები. +36.20 ნიშნულზე „8-6" მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი, რის გამოც საზაფხულო ფართი მოწყობილია საცხოვრებელ ფართად.

სარდაფში გაზრდილია სართულის სიმაღლე. დამხმარე ფართი მოწყობილია ავტოსადგომად. „კ-კ" ღერძთან „9-10" მონაკვეთში მონოლითურ კედელში გაუქმებულია კარი. **+0.00 ნიშნულზე** „ი-ი" ღერძზე „9-10" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი და საპარკინგე სივრცე მოწყობილია კომერციულ ფართად. „თ-დ" მონაკვეთში შემცირებულია სართულის სიმაღლე. **+39.40 ნიშნულზე** „9-10" მონაკვეთში სახურავზე გასასვლელ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი „9-9" ღერძისკენ, ხოლო „კ-კ" ღერძზე კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯრის ღიობი.

ბლოკი II. „გეგმების მიხედვით": შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია რიგელების მოწყობა და შეცვლილია რიგელების რაოდენობა. შეცვლილია კოლონების მდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია მონოლითური კედლების მოწყობა. 3-4 მონაკვეთში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. დამხმარე ფართში 1-3 მონაკვეთში თ-თ ღერძთან კედლები მოსაწყობია. ობიექტზე არ არის დასრულებული სამშენებლო სამუშაოები.

III ბლოკი. სარდაფში „ზ-ე" მონაკვეთში გაუქმებულია ერთი ლიფტი. „თ-დ" მონაკვეთში შემცირებულია სართულის სიმაღლე. **+0.00 ნიშნულზე** შემცირებულია სართულის სიმაღლე. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დონე. შენობასი შეცვლილია კოლონების განივი კვეთი. **ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები არ არის დამთავრებული. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის დასრულებული.** IV ბლოკის სამშენებლო სამუშაოები არ არის განხორციელებული.

2022 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001245 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2022 წლის 2 აგვისტოს №10/012222142301-17 განცხადება და 2022 წლის 7 ოქტომბრის №10/012228061-17 ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს „ნიუ სითი"-ს და შ.პ.ს „დიღომი 2021"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, №46 №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განხორციელდა მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 დეკემბრის №3737133 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს „ნიუ სითი" და შ.პ.ს „დიღომი 2021"** დაჯარიმდნენ 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, №46 №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის) მშენებლობისათვის.

2. **შ.პ.ს „ნიუ სითი"-ს და შ.პ.ს „დიღომი 2021"-ს** დაევალოთ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადონ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს „ნიუ სითი"-ს და შ.პ.ს „დიღომი 2021"-ს** დაევალოთ, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევებს განემარტოთ, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევებს განემარტოთ, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის

დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი
მოადგილე ზურაბ მამსიკაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

09912476471322

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220338408

რეგისტრაციის თარიღი

29.03.2022 წ

ნოტარიუსი: თამარ ხურციძე
მისამართი: ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა, №1
ტელეფონი: 598160002

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაცხრა მარტი
საქართველოს ნოტარიუსი თამარ ხურციძე
სანოტარო ბიუროს მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა, №1.

მინდობილობის გამცემი: **ილია ხაჯთანი** (დაბ. 20.07.1985 წ. პირადი №01020010688, მისამართი: ქალაქი თბილისი, მიხეილ მესხის ქუჩა, №26ა).

მინდობილობის მიმღები: **ზურაბ ლოლაშვილი** (დაბ. 01.10.1961 წ. პირადი №01008008282).

მე, **საქართველოს ნოტარიუსმა თ. ხურციძემ** შევამოწმე მინდობილობის გამცემის პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, აგრეთვე მისი **ქმედუნარიანობა** და ჩემის **გამოცდილების ნამდვილობა**, დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ილია ხაჯთანმა** მომმართა, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ **მინდობილობის გამცემის** ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ **„მინდობილობის გამცემის"** თხოვნით შევადგინე შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

უფლებამოსილების ფარგლები:

➢ „მინდობილობის მიმღები" უფლებამოსილია: წარმოადგინოს „მინდობილობის გამცემის" ინტერესები **უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საკადასტრო კოდით №01.10.06.001.205**, ნებისმიერ სახელმწიფო, კერძო, ადმინისტრაციულ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებსა-დაწესებულებებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ურთიერთობისას, იუსტიციის სახლში, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში, საქალაქო სამსახურებში, თბილისის რაიონულ გამგეობებში, სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში, მათ შორის და არა მხოლოდ, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ურბანულ სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში** და „მინდობილობის გამცემის" სახელით კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში მოიპოვოს (გამოითხოვოს) და/ან წარადგინოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი: განცხადება, განაცხადი, ცნობა, ინფორმაცია, მოწმობა, პროექტი, სქემა, ნებართვა, ნებისმიერი სახის საშემფასებლო დოკუმენტაცია და ა.შ. მათ შორის მიიღოს **მშენებლობის ნებართვა (მათ შორის, მოდიფიცირებული), ასევე რეკონსტრუქციის, შეკეთების, დემონტაჟის და ლანდშაფტური მშენებლობის ნებართვები, სანებართვო მოწმობა, მოქმედების მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, მშენებლობა-დასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება, აგრეთვე შეთანხმებულ პროექტში კორექტირების შეტანა.** ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს და განახორციელოს ყველა მოქმედება დაკავშირებული აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობის მოქმედების ვადა:

➢ **მინდობილობა ძალაშია 2022 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით.**

მინდობილობა **წაიკითხა** მინდობილობის გამცემმა, რომელიც ასევე **წავუკითხე** მე და **განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები**, წინამდებარე მინდობილობა მოიწონა მინდობილობის გამცემმა და ჩემი, **საქართველოს ნოტარიუს თ. ხურციძის** თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი და დაადასტურა რომ იგი ნამდვილად შეესაბამება მის ნებას.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე **ორ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან **ერთი** ინახება **ჩემს, საქართველოს ნოტარიუს თ. ხურციძის სანოტარო ბიუროს არქივში**, ხოლო **ერთი** ეგზემპლარი გადაეცემა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **12.00** /თორმეტი/ **ლარი**, მათ შორის: **10.00** /ათი/ **ლარი**, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა, **2.00** /ორი/ **ლარი ელექტრონულ სანოტარო მოქმედებათა რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური**, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.

მინდობილობის გამცემი:

ნოტარიუსი:

NOTARY
GEORGIA
თამარ ხურციძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

21860381914922

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220910030

რეგისტრაციის თარიღი

19.07.2022 წ

ნოტარიუსი: თამარ ხურციძე
მისამართი: ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა, №1
ტელეფონი: 598160002

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ცხრამეტი ივლისი
საქართველოს ნოტარიუს თამარ ხურციძის შემცვლელი პირი მარიამ გიგიტური
სანოტარო ბიუროს მდებარე მისამართი: ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა, №1.

<u>მინდობილობის გამცემი:</u>

დავით მუხრიშვილი (დაბ. 14.09.1985 წ. პირადი №01030031279, მისამართი: ქალაქი თბილისი, გამსახურდიას დასახლება, III მიკრორაიონი, I კვარტალი, კორპუსი 1, ბინა 14).

<u>მინდობილობის მიმღები:</u>

ზურაბ ლოლაშვილი (პირადი №01008008282).

მე, საქართველოს ნოტარიუს თ. ხურციძის შემცვლელმა პირმა მარიამ გიგიტურმა შევამოწმე მინდობილობის გამცემის **პირადობა** წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, აგრეთვე მისი **ქმედუნარიანობა** და **ნების გამოვლენის ნამდვილობა**. დავრწმუნდი, რომ ეს ნამდვილად **მინდობილობის გამცემის** მიმართვა. ვადასტურებ, რომ **ჩემს** მიერ მინდობილობის გამცემის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ **მინდობილობის გამცემის** თხოვნით შევადგინე შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მინდობილობა

<u>უფლებამოსილების ფარგლები:</u>

➢ „მინდობილობის მიმღები" უფლებამოსილია წარმოადგინოს „მინდობილობის გამცემის" ინტერესები **უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საკადასტრო კოდით №01.10.06.001.205**, ნებისმიერ სახელმწიფო, კერძო, ადმინისტრაციულ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებსა/დაწესებულებებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ურთიერთობისას, იუსტიციის სახლში, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში, საქალაქო სამსახურებში, თბილისის რაიონულ გამგეობებში, სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში, მათ შორის და არა მხოლოდ, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ურბანულ სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში** და „მინდობილობის გამცემის" სახელით კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში მოიპოვოს (გამოითხოვოს) ცალკე წარადგინოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი: განცხადება, განაცხადი, ცნობა, ინფორმაცია, მოწმობა, პროექტი, სქემა, ნებართვა, ნებისმიერი სახის სამშენებლო დოკუმენტაცია და ა.შ. მათ შორის მიიღოს **მშენებლობის ნებართვა** (მათ შორის, მიშენების), **ასევე რეკონსტრუქციის, შეკეთების, დემონტაჟის და ლანდშაფტური მშენებლობის ნებართვები, სანებართვო მოწმობა, მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, მშენებლობა-დასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება, აგრეთვე შეთანხმებულ პროექტში კორექტირების შეტანა**, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტებს და განახორციელოს ყველა მოქმედება დაკავშირებული აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

<u>მინდობილობის ვადა:</u>

➢ **მინდობილობა ძალაშია 2023 წლის 19 ივლისის ჩათვლით.**

მინდობილობა **წაეკითხა** მინდობილობის გამცემს და განემარტა მისი შინაარსი და მისი გაცემის **სამართლებრივი შედეგები**, შემდეგ თავადაც **წაიკითხა** და მოიწონა იგი. მინდობილობის გამცემმა, ჩემი, თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი და დაადასტურა რომ იგი ნამდვილად შეესაბამება მის ნებას.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე **ორ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება **საქართველოს ნოტარიუს თ. ხურციძის** სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ხელ: **23.00 ლარი**, მათ შორის: **18.00 ლარი**, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა, **5.00 ლარი ელექტრონულ სანოტარო მოქმედებათა რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური**, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.

მინდობილობის გამცემი:

ნოტარიუს თამარ ხურციძის შემცვლელი პირი — მარიამ გიგიტური

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5005717922

24/08/2022

5005717922

შპს "დიღომი 2021"-ის წარმომადგენელს ბატონ დავით მჭედლიშვილს

(ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N46)

ბატონო დავით,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2022 წლის 1 ივლისის რეგისტრაციის N1004605322) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N005773322 დასკვნას

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია - ერთი ფუთა

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5005717922

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 24.08.2022 (ხელმოწერა) გ.ა

005773322

ექსპერტის დასკვნა № 005773322

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს დიღომი 2021

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N46

სახელი და გვარი: დავით მჭედლიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

დათო ფირყულაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 15 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაადგინოთ ქ. თბილისში, გ. ბრწყინვალეს ქ. #46 მიმდებარე მშენებლობის გავლენა მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობაზე

შემოსვლის თარიღი: 01/07/2022 წ

გასვლის თარიღი: 24/08/2022 წ

დასკვნა

ქალაქ თბილისში, საკადასტრო კოდ #01.10.06.001.205-ში დაგეგმილი მშენებლობისათვის დამუშავებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მოცემული გადაწყვეტების მიხედვით განხორციელების შემთხვევაში, საპროექტო ობიექტს ექსპლუატაციის პერიოდში მომიჯნავე შენობებზე არ ექნება უარყოფითი გავლენა ანუ არ წარმოშობს ნორმით განსაზღვრულზე მეტ დეფორმაციებს, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ მშენებლობის პერიოდში მშენებლობის ტექნოლოგიით გამოწვეულ შესაძლო უარყოფით გავლენის საკითხს, აუცილებელია ქვემოთმოცემული რეკომენდაციების შესრულება, კერძოდ - შესაბამისი ნახაზების (ქვაბულის მოწყობის, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის) დამუშავება და მომიჯნავე შენობების სისტემატური მონიტორინგი

დათო ფირყულაშვილი

გამოკვლევა

საინჟინრო ექსპერტიზაზე განხილულია ქალაქ თბილისში, საკადასტრო კოდ #01.10.06.001.205-ში დაგეგმილი მშენებლობის შესაძლო გავლენის განსაზღვრა მომიჯნავედ არსებულ შენობებზე.

ახალი მშენებლობის არსებულ შენობებზე შესაძლო ურთიერთგავლენა, როგორც წესი რამდენიმე საკითხის განსაზღვრას ითვალისწინებს, კერძოდ:

I. საპროექტო შენობის ექსპლუატაციის პერიოდში შესაძლო გავლენის ანგარიშს;

II. უშუალოდ მშენებლობის პროცესებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების შეფასებას;

III. მშენებლობის დაწყებამდე მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა-დაფიქსირებას;

თითოეული საკითხზე მსჯელობა მოცემულია ქვემოთ:

I. საპროექტო შენობის ექსპლუატაციის პერიოდში შესაძლო ურთიერთგავლენის დადგენა

მოცემული საკითხი, თავის მხრივ გულისხმობს მომიჯნავე შენობებზე საპროექტო შენობის მასისაგან გამოწვეულ შესაძლო უარყოფითი გავლენის (მაგალითად, საძირკვლების დეფორმაციის, ბზარების წარმოქმნის და ა.შ.) განსაზღვრას, რაც მოწმდება ახალი შენობის საძირკვლების და ფუძე-გრუნტების მზიდუნარიანობის დადგენა-შემოწმებით. ზემოთხსენებული ელემენტები შემოწმდა იმ საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც ექსპერტიზაზე იქნა წარმოდგენილი, კერძოდ საპროექტო შენობის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილებით, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებითა და საპროექტო შენობის საანგარიშო მოდელით.

ვინაიდან ექსპერტიზაზე დასმული კითხვა ითვალისწინებდა მხოლოდ შესაძლო ურთიერთგავლენის დადგენას, შესაბამისად საპროექტო შენობის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა არ ჩატარებულა, შემოწმდა საძირკვლების და ფუძე-გრუნტების მზიდუნარიანობა.

საპროექტო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის სიჩქარე - 37.0 მ/წმ;

თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად სამშენებლო ტერიტორიაზე ამგები გრუნტების ფენაში გამოყოფილია სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი:

სგე I - თიხნარი მოყვითალო-ყავისფერი, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, ნახევრადმყარი (ფენა #1);

სგე II - თიხა მოყვითალო ფერის, ჟანგისფერი ლაქებით, შრეებრივი, ქვიშის ლინზებით, ძნელპლასტიური (ფენა #2).

სგე III - თიხა მუქი-ნაცრისფერი, შრეებრივი, ქვიშაქვის შუაშრეებით, ნახევრადმყარი (ფენა #3).

საპროექტო შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, 15 სართულით, კონსტრუქციულ სქემად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, საძირკვლად 120 სმ დიამეტრის მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი კიდული ხიმინჯები, გაერთიანებული 100 სმ სისქის ფილით.

ექსპერტიზაზე პროგრამულ კომპლექს „ЛИРА®-САПР 2021 (R2.3.1)x64“-ში, ლიცენზიის ნომრით #4713 დადგინდა, რომ საპროექტო შენობის საძირკვლიდან ძაბვების გადაცემა ხდება უშუალოდ საძირკვლის ქვეშ არსებულ გრუნტებზე.

II. ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებით და პროცესებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების შეფასება

მოცემული საკითხი ითვალისწინებს ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებით და პროცესებით (მაგალითად დინამიკური რხევებით, ვიბრაციებით, გრუნტის, ქვაბულის მოწყობის სამუშაოებით და ა.შ.) გამოწვეული შესაძლო დაზიანებების განსაზღვრას.

აღნიშნულზე საპროექტო დოკუმენტაციის მიმართ არის შემდეგი სახის შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. დოკუმენტაცია არ შეიცავს ქვაბულის მოწყობის ნახაზებს. ქვაბულის ნახაზები აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების დაგეგმილად სწორად წარსამართავად, რათა თავიდან იქნას აცილებული უშუალოდ მშენებლობის წარმოების პროცესში შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა;

2. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოებით და პროცესებით გამოწვეული შესაძლო გავლენის შემაკავებელი ღონისძიებები განსაზღვრული და ასახული უნდა იყოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში, რომელიც მოცემულ ეტაპზე ექსპერტიზაზე წარმოდგენილი არ არის;

3. უშუალოდ მშენებლობის წარმოების პროცესში საჭირო და აუცილებელია მომიჯნავედ არსებულ შენობებზე ტარდებოდეს სისტემატური მონიტორინგი და დაკვირვების წარმოება;

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება საჭიროა იმ მიზნითაც, რომ მშენებლობის პერიოდში შესაძლო გამოვლენილი დაზიანებების შემთხვევაში, დროულად მოხდეს სათანადო რეაგირება, მაგალითად შეიცვალოს სამშენებლო პროცესის ტექნოლოგია, გატარდეს სხვა დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიება და ა.შ.

III. მშენებლობის დაწყებამდე მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა-დაფიქსირება

მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა-დაფიქსირება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩატარდება ცალკე ექსპერტიზის სახით და გაცემულ იქნება შესაბამისი დასკვნა

ამრიგად, ქალაქ თბილისში, საკადასტრო კოდ #01.10.06.001.205-ში დაგეგმილი მშენებლობისათვის დამუშავებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მოცემული გადაწყვეტების მიხედვით განხორციელების შემთხვევაში, საპროექტო ობიექტს ექსპლუატაციის პერიოდში მომიჯნავე შენობებზე არ ექნება უარყოფითი გავლენა ანუ არ წარმოშობს ნორმით განსაზღვრულზე მეტ დეფორმაციებს, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ მშენებლობის პერიოდში მშენებლობის ტექნოლოგიით გამოწვეულ შესაძლო უარყოფით გავლენის საკითხს, აუცილებელია ზემოთმოცემული რეკომენდაციების შესრულება, კერძოდ - შესაბამისი ნახაზების (ქვაბულის მოწყობის, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის) დამუშავება და მომიჯნავე შენობების სისტემატური მონიტორინგი.

დათო ფირყულაშვილი

გამოყენებული მასალები